

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ -პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით, პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

1. საკონკურსო პირობები და მოთხოვნები სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის მიმართულებებისათვის

- 1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული და სამეცნიერო მიღწევები.**

პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი წინაპირობაა:

დოქტორის აკადემიური ხარისხი, დარგის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 6 წლის უწყვეტი სტაჟი.

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად, კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის (საერთაშორისო) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

კონკურსში მონაწილეობის ზღვრული ასაკია 70 წელი. თუ კონკურსანტს, საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე, არ უსრულდება 71 წელი, მას უფლება აქვს კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:

დოქტორის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 3 წლის უწყვეტი სტაჟი; დარგის სწავლების კონცეფციისა და სილაბუსების წარმოდგენა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე;

აგრეთვე, მსოფლიო თეატრისა და კინოს ისტორიის მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის (საერთაშორისო) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა და ამ ცოდნის დამადასტურებელი დიპლომის ან სერთიფიკატის ასლი, ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი პროფილის ორგანიზაციის მიერ გაცემული, ენის ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

კონკურსში მონაწილეობის ზღვრული ასაკია 70 წელი. თუ კონკურსსანტს, საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე, არ უსრულდება 71 წელი, მას უფლება აქვს კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:

დოქტორის აკადემიური ხარისხი. დისციპლინის სწავლების სილაბუსის წარმოდგენა (ბაკალავრიატი). სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 1 წლის უწყვეტი სტაჟი. მსოფლიო თეატრისა და კინოს მიმართულებით, უცხო ენის (საერთაშორისო) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საბუთი ან მისი ასლი.

კონკურსში მონაწილეობის ზღვრული ასაკია 65 წელი. თუ კონკურსსანტს, საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე, არ უსრულდება 66 წელი, მას უფლება აქვს კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

4. ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია:

კანდიდატი იყოს დოქტორანტი. შესაბამისი მიმართულების 1 პროფესორის ან 2 ასოცირებული პროფესორის რეკომენდაცია.

კონკურსში მონაწილეობის ზღვრული ასაკია 50 წელი. თუ კონკურსსანტს, საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე, არ უსრულდება 51 წელი, მას უფლება აქვს კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება რექტორისა და საკონკურსო კომისიის სახელზე;
- უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები (CV) და სამეცნიერო ნაშრომების (შემოქმედებითი წარმატებების) ნუსხა;
- ერთი ფოტოსურათი (3 X 4);
- კურიკულუმი;
- ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. ძირითადი მოთხოვნები:

1. დისციპლინის სწავლების სტრუქტურის მოკლე აღწერა - სილაბუსი/სილაბუსები (სილაბუსში მითითებული უნდა იყოს: საგნის სახელწოდება, სწავლების მიზანი, კურსის მოცულობა, მეთოდი, კრედიტების მინიჭების პირობა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, საგნის გეგმა, თითოეულ ლექციაზე წასაკითხი საკითხების მითითებით);
2. სამეცნიერო-პედაგოგიური და სხვა პროფესიული აქტივობის (შემოქმედებითი და ა.შ.) დამადასტურებელი სხვა მასალა;
3. პროფილის შესაბამისად გამოცემული წიგნები (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ა.შ.);
4. პროფილის შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო და საგანმანათლებლო შინაარსის შრომები;
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
6. უცხო ენის ცოდნა;
7. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

დამატებითი მოთხოვნები:

1. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრემია, გრანტი, სტიპენდია;
2. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
3. რეიტინგი სტუდენტთა ანკეტური ანონიმური გამოკითხვის მიხედვით.

2. საკონკურსო პროცედურა

1. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და იგი ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით. საკონკურსო კომისიის წევრებს რექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება 2 წევრი.
4. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონკურსანტის მიერ დაგროვებული ქულების მიხედვით; ტარდება ღია კენჭისყრა. საკონკურსო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს საკონკურსო პირობების ძირითადი და დამატებითი მოთხოვნებით.
5. საკონკურსო კომისია, კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას აფასებს წინამდებარე დოკუმენტის დანართ №1-ში მოცემული შეფასების კრიტერიუმით და ქულობრივი

სისტემით, „ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების“ თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და ქულათა ჯამით გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

6. საკონკურსო კომისიის მუშაობის შედეგი კონკურსანტს ეცნობება სამი სამუშაო დღის ვადაში;
7. კონკურსანტის სააპელაციო განაცხადის შეტანის ბოლო ვადა განისაზღვრება შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღით;
8. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სააპელაციო კომისია განისაზღვრება 3 წევრით. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება კომისიის 2 წევრი. სააპელაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს წევრთა საერთო რაოდენობის უბრალო უმრავლესობით - ღია კენჭისყრით.
9. სააპელაციო კომისია ათი დღის ვადაში წარუდგენს აკადემიურ საბჭოს სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგს. თუ საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან, აკადემიური საბჭო თავად ღებულობს გადაწყვეტილებას აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.
10. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
11. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6.

3. თანამდებობის დაკავების ვადა

1. პროფესორის თანამდებობას პირი იკავებს უვადოდ, 71 წლის შესრულებამდე, ხელშეკრულების შესაბამისად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას, ყოველ 5 წელიწადში იგი გადის ატესტაციას (დანართი №2). ატესტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მომავალი 5 წლის ამოწურვამდე, ის კვლავ იკავებს პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. თუ პროფესორს თანამდებობაზე ყოფნისას შეუსრულდა 71 წელი, მაგრამ არ არის გასული საატესტაციო ვადა - 5 წელი, პროფესორი რჩება დაკავებულ თანამდებობაზე საატესტაციო ვადის ამოწურვამდე. ვადის გასვლის შემდგომ, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მას შეიძლება მიენიჭოს ემერიტუსის ან საპატიო პროფესორის სტატუსი;
- 1.1. შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის უმრავლესობის (50% +1) წერილობითი, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პირის (რომელსაც შეუსრულდა ზღვრული ასაკი) პედაგოგად მოწვევის საკითხს და მსჯელობის შემდეგ, ატარებს ღია კენჭისყრას. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით (50% +1). დადებითი შედეგის

შემთხვევაში, ფაკულტეტი შუამდგომლობით მიმართავს აკადემიურ საბჭოს. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. ასეთი პირი, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, შეიძლება მოწვეულ იქნას, როგორც საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი პედაგოგი ან მოწვეული სპეციალისტი (ფიქსირებული ანაზღაურებით).

2. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი იკავებს 4 წლით. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ მას არ უსრულდება ზღვრული ასაკი, კვლავ მონაწილეობს კონკურსში.
3. ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობას, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი იკავებს 2 წლით. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ მას არ უსრულდება ზღვრული ასაკი, კვლავ მონაწილეობს კონკურსში.
4. ასისტენტის აკადემიურ თანამდებობას, კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი იკავებს 1 წლით. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ ის ისევ დოქტორანტია და მას არ უსრულდება ზღვრული ასაკი, კვლავ მონაწილეობს კონკურსში.

4. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

1. კანდიდატი, რომელსაც უკავია აკადემიური თანამდებობა აკრედიტებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროფესორის თანამდებობაზე გავლის შემთხვევაში, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ვალდებულია არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს;
2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავებისას, პირს, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის უფლება აქვს, მხოლოდ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობით.